

დამტკიცებულია  
სსიპ ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით  
ოქმი №----  
----.----.2010წელი  
სპიკერი, ასოც. პროფესორი: ო. მაისურაძე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა  
ფაკულტეტის დებულება

I. ზოგადი დებულებები

1.1 ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (შემდგომში ფაკულტეტი) წარმოადგენს უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს სასწავლო პროგრამებისა და თანამედროვე კურიკულუმის შესაბამისად, სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, სასწავლო პროცესში სიახლეების დანერგვის მიზნით.

1.2 ფაკულტეტი თავის საქმიანობას ახორციელებს, საქართველოს კანონმდებლობის, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, უნივერსიტეტის წესდების, შიდასაუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტებისა და ფაკულტეტის დებულების შესაბამისად.

1.3 ფაკულტეტი აერთიანებს სასწავლო-კვლევით და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც კოორდინირებას უწევენ ფაკულტეტზე არსებულ: ქართული ფილოლოგიის, დასავლური და აღმოსავლური ენების, ისტორიის, სოციალურ მეცნიერებათა, პედაგოგიკის, ხელოვნების სპეციალობებს.

1.4 ფაკულტეტის დებულებას დეკანის წარდგენით შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და დასამტკიცებლად გადასცემს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს. დებულება განსაზღვრავს ფაკულტეტის სტრუქტურას, ფუნქციებსა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

1.5 ფაკულტეტი თავისი პერსონალით უზრუნველყოფს სწავლების მაღალი დონის სწავლის, სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდების (კრედიტების დაგროვების და ტრანსფერის ევროპული სისტემა, მოდულები, საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო კურსების სილაბუსები) დანერგვას .

1.6 ფაკულტეტის და მისი საგანმანათლებლო პროგრამების გახსნა-დახურვაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

1.7 ფაკულტეტი ვალდებულია შეუქმნას სტუდენტს სწავლისა და დამოუკიდებელი კვლევისათვის საჭირო პირობები. უზრუნველყოს შესაბამის სპეციალობაში თანამედროვე ატანდარტების შესატყვისი მომავალზე პორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა.ამავე დროს მუდმივად იზრუნოს სასწავლო პირობების გაუმჯობესებაზე. საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი და მიეცემა ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი დიპლომი

1.8 ფაკულტეტი კავშირს ამყარებს და თანამშრომლობს როგორც საქართველოს ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებთან და შესაბამის ფაკულტეტებთან სწავლების მეთოდოლოგია და სამეცნიერო დარგში მუშაობის საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისათვის.

## II. აკადემიური პერსონალი, სტუდენტი

2.1 აკადემიური თანამდებობის დაკავება ხდება ღია გამჭვირვალე და სამართლიანი კონკურსის წესით.

2.2 აკადემიური თანამდებობის პირი უფლებამოსილია თავისუფლად განსაზღვროს სასწავლო პროგრამის შინაარსი და სწავლების მეთოდები.

2.3 აკადემიური პერსონალის მთელი საქმიანობა უნდა უზრუნველყოფდეს სტუდენტთათვის ხარისხიანი განათლების მიცემას და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ლახავდეს მათ უფლებებს.

2.4 ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი არის საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად ამ ფაკულტეტზე ჩარიცხული პირი.

2.5 სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის წესდებით მისთვის მინიჭებული უფლებებით და ამავე დროს ვალდებულია დაიცვას უნივერსიტეტის პრესტიჟი, პატივი სცეს ფაკულტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმები, ეთიკის კოდექსი და სტუდენტური ხელშეკრულების პირობები.

### III. ფაკულტეტის საბჭო

3.1 ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო (შემდგომში-საბჭო), რომლის შემადგენლობაში შედის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ არჩეული წარმომადგენლები, რომლებიც შეადგენენ საბჭოს შემადგენლობის 1/4 –ს.

3.2 საბჭო თავისი წევრებიდან ირჩევს მდივანს

3.3 საბჭოს სხდომა ტარდება თვეში ერთხელ(საჭიროების შემთხვევაში მოიწვევა რიგგარეშე სხდომა)

3.4 საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა  
2/3

3.5 საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვა, გაუქმება ან შეცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ამას მოითხოვს ფაკულტეტის საბჭოს წევრთა 2/3. დეკანის მიერ შეტანილი წერილობითი განცხადების საფუძველზე.

3.6 საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმით. ოქმს ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე (დეკანი) და მდივანი.

3.7 საბჭოს თავმჯდომარე აკონტროლებს საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებას და მოახსენებს საბჭოს წევრებს მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების შესახებ.

### IV. ფაკულტეტის სტრუქტურა

4.1 ფაკულტეტი აერთიანებს შემდეგ სპეციალობებს:

1.ქართული ფილოლოგიის;

2.სოციალური მეცნიერების ფაკულტეტს-ჟურნალისტიკის სპეციალობა

3.ისტორიის

4 დასავლური ენების-ინგლისურ, გერმანული, ფრანგული, რუსული ენა და ლიტერატურა

5. აღმოსავლური ენების-თურქული, ახალი ბერძნული, სომხური ენა, და ლიტერატურა

6. პედაგოგიკის

7.ხელოვნების-ხისა და ლითონის დამუშავების და მოდელირების

4.2 თითოეულ სპეციალობას კოორდინირებას უწევს მიმართულების ხელმძღვანელი, რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭოს და რომელიც

ვალდებულია პასუხი აგოს მიმართულების სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის სწორად წარმართვაზე. გაწეული მუშაობა შეფასდება შესაბამისი ქულებით აკადემიური პერსონალის რეიტინგის შედგენისას

4.3 დეკანატი წარმოადგენს ფაკულტეტის აღმასრულებელ და დეკანთან არსებულ სათათბირო ორგანოს, რომელიც ადასრულებს ინსტიტუტის მართვის ორგანოების და ფაკულტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

დეკანატის წევრები არიან:

- ა) დეკანი;
- ბ) დეკანის მოადგილე;
- გ). სპეციალისტები;
- დ). მიმართულების ხელმძღვანელები
- ე). ფაკულტეტის ხარისხია უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

4.4 დეკანატის სხდომებს ხელმძღვანელობს დეკანი. დეკანატის სხდომები იმართება ყოველ ორ კვირაში ერთხელ. დეკანი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოიწვიოს სხდომა.

4.5 დეკანატი გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით

## V. ფაკულტეტის დეკანი

ს ვადით

5.3 დეკანი:

- დებულების თანახმად დეკანი უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის სწორად და ეფექტურად წარმართვას;
- ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების გეგმას, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს.
- შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურას და დებულებას;
- თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს;
- თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

- პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;
- უზრუნველყოფს სასწავლო გეგმებისა და პროგრამების თანმიმდევრულ შესრულებას, ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესს;
- ხელმძღვანელობს სასწავლო ცხრილების შედგენას და აწარმოებს კონტროლს მათ შესრულებაზე;
- აკონტროლებს კრედიტების სწორად მინიჭებას, აჯამებს მათ შედეგებს და ორგანიზებას უწევს ვადების დაცვით დავალიანების დაფარვას;
- რექტორს წარუდგენს სტიპენდიანტებს, სტიპენდიის დანიშვნის დებულების გათვალისწინებით;
- ხელმძღვანელობს უწევს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას;
- უზრუნველყოფს თანამშრომელთა მიერ სამუშაო დროის ოპტიმალურად გამოყენებას და ინსტიტუტის შინაგანაწესის დაცვას
- უზრუნველყოფს ფაკულტეტის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების განაწილებას;
- ინსტიტუტის წარმომადგენლობით და აკადემიურ საბჭოებს წარუდგენს წინადადებებს თანამშრომელთა წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე;
- ახორციელებს კანონდებლით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

## VI. ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

### 6. დეკანის მოადგილე

- დეკანთან ერთად ასრულებს დებულებით გათვალისწინებულ მოვალეობებს, რაც უზრუნველყოფს ფაკულტეტზე შრომითი დისციპლინისა და სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის ორგანიზებულად წარმართვას;
- მონაწილეობას ღებულობს სასწავლო გეგმების, დატვირთვების შედგენასა და კრედიტების განაწილებაში, სასწავლო ცხრილების შედგენაში;
- დეკანის არყოფნის შემთხვევაში მას ეკისრება პასუხისმგებლობა ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის სწორად მართვაში.

## VII. ფაკულტეტის სპეციალისტი

## 7. სპეციალისტი:

- ასრულებს დეკანის ცალკეულ დავალებებს;
- უზრუნველყოფს ფაკულტეტზე არსებული სტუდენტთა პირადი საქმეებისა და სხვა დოკუმენტაციის დაცვას;
- მომსახურებას უწევს სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე;
- ასრულებს დეკანის ცალკეულ დავალებებს.

## VIII. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

### 8. სამსახური:

- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (შემდგომში- სამსახური) იქმნება ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით;
- სამსახური უზრუნველყოფს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით განსაზღვრული ამოცანების შესრულებას სწავლების ხარისხის ამაღლების, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის გზით;
- მონაწილეობს სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის პროცესში;
- სამსახური ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოსა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წინაშე;
- ფაკულტეტის საბჭო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით კანდიდატურებიდან ირჩევს და ამტკიცებს სამსახურის უფროსს;
- 
- სამსახურის უფროსი არის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი.

## IX. ფაკულტეტის პერსონალის პასუხისმგებლობა

9.1. ფაკულტეტის პერსონალი პასუხისმგებელია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვაზე, საქმიანობის პროცესში ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე და მისი მიზეზით უნივერსიტეტისათვის მიყენებული ზარალისათვის.

ჩადენილი ქმედებისათვის პერსონალი პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2. სამსახურის თანამშრომლები ვალდებული არიან დაიცვან ეთიკის კოდექსის, უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები და ხელშეკრულების პირობები.

X. ფაკულტეტის რეორგანიზაცია და გაუქმება

10. რეორგანიზაცია და გაუქმება

სამსახურის რეორგანიზაცია ან გაუქმება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით

XI. დასკვნითი დებულებები

11.1 დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ წინადადების დაყენების უფლება აქვთ:

- ა) დეკანს;
- ბ) ფაკულტეტის სბჭოს 2/3-ს;

11.2 დებულებაში ცვლილება მიღებულია, თუ მას მხარს დაუჭერს ფაკულტეტის საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობა, რომელიც დასამტკიცებლად გადაეცემა უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს.

11.3 დებულება ძალაშია მისი გამოქვეყნებისთანავე.